



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამრობითი გვიძრა



მამრობითი გვიძრა, ჩაღუნა, (*Dryopteris filix-mas*), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ასპიდიუმისებრთა ოჯახისა. იზრდება ევრაზიისა და ჩრდ. ამერიკის ტყის ზონაში. ჩაღუნა *Dryopteris*-ის გვარის ტიპური სახეობაა. იგი ჩვენში ყველაზე ფართოდ გავრცელებული გვიძრაა, ამის გამო თვით გვარსაც ჩაღუნა ეწოდება და 150-მდე სახეობას მოიცავს. გვხვდება დედამიწის ზომიერ და ტროპ. ზონებში.

მამრობითი გვიძრა

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა. ჩაღუნას გარდა ფართოდაა გავრცელებული *D. carthusiana* (აღრე *D. spinulosa*). მაღალ მთებში გვხვდება კავკასიური ენდემი *D. oreades*, მთის ქვედა და შუა სარტყელში - *D. borreri*. საქართველოში აღწერილი 3 სხვა სახეობა გავრცელებულია თურქეთშიც.

ი. მიქელაძე
